ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3824151

ნომერი: AR1575840

თარიღი : 07.02.2018

გაცემის თარიღი : 15.02.2018

გაცნობის თარიღი : 16.02.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ ჭრელაშვილი პ/ნ 60003006352
- საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 6, ბინა 137

ორგანიზაცია:

- შპს ბაუმა კოდი: 405145579

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

-ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს მსგავსი სახით სარეკლამო აბრების მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. იგი საკმაოდ გადატვირთული სახის მატარებელია და ჭრელი, საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრების რაოდენობისა და გაბარიტული ზომების შემცირება, მხატვრულ–ვიზუალური ელფერის სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, ასევე აბრებზე მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის სიმბოლოების განთავსება. საჭიროა სარეკლამო აბრების მოწყობა განხორციელდეს ისე, რომ გათვალისწინებულ იქნას შენობის ჩამოყალიბებული იერსახე. აღნიშნულის შესაბამისად დაკორექტირდეს საპროექტო ფოტომონტაჟი რა დროსაც უნდა გაითვალისწინოთ: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე-18 მუხლის, მე-10 პუნქტის თანახმად განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20%–ს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა ფოტომონტაჟზე წარმოსახვითი ხაზით მონიშნოთ სარეკონსტრუქციო ფასადი, მიუთითოთ სარეკონსტრუქციო ფასადის გაბარიტული ზომები, დაიანგარიშოთ სარეკონსტრუქციო ფასადისა და სარეკლამო აბრის პროცენტულობა და დაიტანოთ ფოტომონტაჟზე.

-ასევე საჭიროა წარმოადგინოთ დღევანდელი მდგომარებით არსებული სიუტაციის ფოტოსურათები გადაღებული სხვადასხვა ხედის ფიქსაციით. (გაითვალისწინეთ, რომ განახლებული ფოტომონტაჟი დამუშავებულ უნდა იქნას განახლებულ ფოტოსურათზე).

- წარმოადგინეთ საკადასტრო გეგმა სარეკლამო აბრების განთავსების ადგილის მონიშვნით.

- წარმოდგენილი მინდობილობა არ არის მისაღები, რადგან ძალაშია 29.12.2017 წლამდე. წარმოსადგენია ძალაში მყოფი მინდობილობა ან უფლებამოსილი წარმომადგენელი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.